ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7315233

ნომერი: AR11069489

თარიღი : 09.12.2024

გაცემის თარიღი : 10.12.2024

გაცნობის თარიღი : 10.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კუკური გოგიაშვილის I შესახვევი, N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ჭავჭანიძე პ/ნ 01024018748
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 71ბ ბ. 113

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 09 დეკემბერს №AR11069489 განცხადებით მომართა პაატა ჭავჭანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 7

ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებით, №01.72.14.009.614 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 7 ოქტომბრიდან 2026 წლის 7 მაისის წლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 25 ნოემბრის №7297891 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში და ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირდა სპორტული მოედნის 270.3 კვ.მ. ფართობი. ასევე, ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობად დაფიქსირდა 38315.96 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად - 15854.95 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 379.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 4712.35 კვ.მ., საერთო ფართობად - 29759.64 კვ.მ. სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებით შეთანხმებული +13.20 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებით შეთანხმებული პირველი კორპუსის მე-2 სართულის გეგმაზე მდებარე №13 და №14 საოფისე ფართობებზე ტექნიკური შეცდომის შედეგად მითითებულია „საცხოვრებელი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი გასწორებული მე-2 სართულის გეგმის ჩანაცვლებას. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ წარმოდგენილ გეგმებზე გასწორებულია ექსპლიკაციები, ასევე კომერციული და დამხმარე ფართობების ნუმერაცია.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ შეთანხმებული პირველი კორპუსის მე-2 სართულის გეგმაზე მდებარე №13 და №14 საოფისე ფართობების ექსპლიკაციაზე ტექნიკური შეცდომის შედეგად მითითებული იყო „საცხოვრებელი“, რაც წარმოდგენილ მე-2 სართულის გეგმაზე გასწორებულია. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ აღნიშნულ გეგმაზე მდებარე №13 და №14 ოფისებზე ექსპლიკაციების გასწორება არ იწვევს სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში დაფიქსირებული საოფისე ფართობის გასწორებას. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ექსპლიკაციების და ნუმერაციის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 და 2024 წლის 25 ნოემბრის №7297891 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.